



საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული
და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ თბილისი საქართველო

შეფასების თარიღ(ებ)ი

2026 წლის 19 და 20 ივნისი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი

2026 წლის 16 ივლისი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204555524
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პოიან ამინიშაკიბი, თეირანის მედიცინის მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ირანი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ელენე გიგინეიშვილი, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ზურაბ ალხანიშვილი, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და კეთილდღეობის ასოციაცია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ციცი პაპუნაშვილი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	სტომატოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Dentistry
უმაღლესი განათლების საფეხური / პროგრამა	სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	დენტალური მედიცინის დოქტორი
დენტალური სფეროს დასახელება და კოდი	0911 დენტალური მედიცინა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	300
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო	-

²უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ - ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	
--	--

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუს სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან (VII საფეხური), სტომატოლოგიის დარგობრივ მახასიათებელთან და საერთაშორისო სტანდარტებთან (WHO, FDI, ADEE, ADEA). სასწავლო გეგმა მოიცავს ბიოსამედიცინო, პრეკლინიკურ და კლინიკურ კომპონენტებს, ძლიერი ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაციით. პროგრამაში აქცენტი კეთდება მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სტომატოლოგიაზე, საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე, კვლევით უნარებზე და თანამედროვე კლინიკურ კომპეტენციებზე.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

2026 წლის 19 - 20 ივნისს განხორციელდა აკრედიტაციის ვიზიტი ჰიბრიდულ ფორმატში. ექსპერტთა ჯგუფის ქართველი წევრები ვიზიტს ადგილზე ესწრებოდნენ, ხოლო თავმჯდომარე დისტანციურად მონაწილეობდა Google Meet-ის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. აღნიშნული კავშირი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ იყო ორგანიზებული.

ვიზიტამდე ჩატარდა მოსამზადებელი შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დღის წესრიგი, დაადასტურა მეთოდოლოგიური მიდგომა და შეათანხმა შეფასების ძირითადი სფეროები.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან სტრუქტურირებული ინტერვიუების სერია ჩაატარა. ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტებმა დაათვალიერეს კლინიკები, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სასწავლო ბაზები, მათ შორის სალექციო აუდიტორიები, სემინარების ოთახები და პრაქტიკული მომზადების ობიექტები. ინტერვიუებმა უზრუნველყო ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიღება, შედეგად - ექსპერტთა ჯგუფს საშუალებას მიეცა დეტალურად და დასაბუთებულად შეეფასებინა პროგრამა. სამუშაო პროცესი წარიმართა თანამშრომლობით და პროფესიონალურ გარემოში, ექსპერტთა ჯგუფის თითოეული წევრი აქტიურად მონაწილეობდა შეფასების პროცესში.

თავმჯდომარე მადლობას მოახსენებს ექსპერტთა ჯგუფის თითოეულ წევრს კონსტრუქციული ჩართულობისთვის და თანამშრომლობისთვის. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილებას გამოხატავს პროცესის თითოეულ ეტაპზე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უზრუნველყოფილი მხარდაჭერით.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამა შეესაბამება ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებს. სასწავლო გეგმა კარგად არის სტრუქტურირებული, სწავლის შედეგები ყოვლისმომცველი და გაზომვადია,

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ძლიერია. რამდენიმე მიმართულება მოითხოვს დამატებით მტკიცებულებას, მათ შორის სილაბუსები, პერსონალის კვალიფიკაცია, რესურსების აღწერილობა და დაშვების კრიტერიუმები.

▪ რეკომენდაციები

- 2.1.1: რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის დოკუმენტირებული მეთოდოლოგია, რომელიც გაითვალისწინებს სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკურ მახასიათებლებს, ინსტიტუციურ რესურსებს და უნივერსიტეტის სტრატეგიულ ხედვას, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას საგანმანათლებლო პროცესის მდგრადი და შეუფერხებელი განხორციელება.
- 2.2.1: ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ კლინიკური სტომატოლოგიის სილაბუსებში თანმიმდევრულად არ არის განსაზღვრული პაციენტზე დაფუძნებული კლინიკური პროცედურების მინიმალური რაოდენობა, რომელიც მოთხოვნილია პრაქტიკული კომპეტენციების მისაღწევად. რეკომენდებულია, თითოეული კლინიკური კურსში აისახოს მინიმალური კლინიკური პროცედურული მოთხოვნები, ხოლო მათი წარმატებით დასრულება განისაზღვროს, როგორც საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობა.
- 2.2.2: რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს კლინიკური განაწილების პერიოდში სტუდენტების კლინიკური მოსწრების ზედამხედველობის, მონიტორინგის, დოკუმენტირების, უკუკავშირის და შეფასების სტრუქტურირებული სისტემა.
- 2.2.3: რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, მაკომპენსირებელი კლინიკური აქტივობების და კომპეტენციების აღდგენის მექანიზმების განმსაზღვრელი პოლიტიკა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას კურსის დასრულებამდე მოთხოვნილი პრაქტიკული უნარების და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა.
- 2.3.1: რეკომენდებულია, სტუდენტების კომპეტენციების გამჭვირვალე, ობიექტური, ვალიდური და თანმიმდევრული შეფასების უზრუნველსაყოფად, ასევე სამუშაო გარემოში განხორციელებული და კლინიკური შეფასების მეთოდებისათვის (მაგალითად, DOPS, Mini - CEX, OSCE, OSPE და ა.შ.) შემუშავდეს და დოკუმენტურად გაიწეროს სტანდარტიზებული შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების რუბრიკები და საგამოცდო კომისიის სახელმძღვანელო მითითებები.
- 4.4.1: რეკომენდებულია, პარტნიორ კლინიკებთან გაფორმებულ მემორანდუმებში დაზუსტდეს და გაიწეროს, თუ რა მოცულობით უტარებენ სტუდენტები პაციენტებს ზედამხედველობით მკურნალობას, დაკვირვებისგან განსხვავებით და მემორანდუმებში მიეთითოს კლინიკური ციკლის სრული ვადები.

- 4.4.2: რეკომენდებულია, დადასტურდეს კლინიკური ბაზის არსებული ტევადობა (პაციენტების რაოდენობა და ხელმძღვანელის და სტუდენტის თანაფარდობა) სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმილი ზრდის გათვალისწინებით.
- 5.1.1: რეკომენდებულია, გაძლიერდეს ხარისხის კულტურა დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმების შესახებ დაინტერესებულ მხარეებთან ინფორმაციის გაზიარებით და არსებული წესების სრულად განხორციელებით, რაც ხელს შეუწყობს თვითშეფასების პროცესში გამოწვევების გამოვლენას და პრევენციას.

▪ რჩევები

- 1.1.1: სასურველია, დოკუმენტურად გაიეწეროს დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები) ჩართულობა პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებაში და გადახედვაში.
- 1.1.2: სასურველია, პროგრამის მიზნები მკაფიოდ იყოს დაკავშირებული საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმასთან.
- 1.1.3: აკრედიტაციის სტანდარტი მოითხოვს პროგრამის მიზნების საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, თუმცა, შეფასების პროცესის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი მტკიცებულება დაინტერესებული მხარეებისთვის მიზნების საჯაროობის და მარტივად ხელმისაწვდომობის შესახებ.
- 1.2.1: დაინტერესებული მხარეების ჩართულობა სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას (პროგრამის შემუშავების წესი, მუხლი 2.2, IV თავი). შესაბამისად, სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამაზე სტუდენტების მიღების შემდგომ უზრუნველყოს მათი მონაწილეობა პროგრამის განვითარების მომდევნო ციკლებში.
- 1.2.2: უნივერსიტეტის განცხადებით, პროგრამის სწავლის შედეგები შედარებულ იქნა სტომატოლოგიის საერთაშორისო პროგრამებთან. თუმცა, აღნიშნული პროცესი არასაკმარისად არის დოკუმენტირებული და დამადასტურებელი მტკიცებულება შეზღუდულია.
- 1.5.1: სილაბუსები ახალი შემუშავებულია და გადახედულ იქნა პროგრამის მომზადების, გარე ექსპერტების და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასების პროცესში. თუმცა, ვინაიდან პროგრამას ჯერ არ ჰყავს აქტიური სტუდენტები ყოველწლიური შეფასების სრული ციკლი ჯერ არ განხორციელებულა. ინტერვიუების ფარგლებში დადასტურდა, რომ პროგრამის განხორციელების შემდგომ დაწესებულება მზადაა უზრუნველყოს სილაბუსების რეგულარული გადახედვა.
- 3.1.1: სასურველია შეიქმნას ფსიქოლოგიური კონსულტაციის სპეციალური სამსახური. აღნიშნული ინიციატივა უზრუნველყოფდა მენტალური ჯანმრთელობის მხარდაჭერას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მრავალფეროვანი სტუდენტური კონტინგენტის, განსაკუთრებით საერთაშორისო სტუდენტების კეთილდღეობას.
- 3.1.2: სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე მორგებული კარიერული სიმპოზიუმები და სპეციალიზებული

მასტერკლასები, იმისათვის, რომ ყველა მიმართულების პროგრამას ჰქონდეს პროფესიულ ქსელებში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა.

- 4.1.1: სასურველია, განისაზღვროს და დოკუმენტურად გაიწეროს ქულებზე დაფუძნებული აკადემიური აქტივობის სისტემის მინიმალური ზღვარი (დიაპაზონი), იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას "არასაკმარისი აქტივობის" კრიტერიუმის გამჭვირვალობა.
- 4.3.1: სასურველია, უნივერსიტეტმა აკადემიურ პერსონალს, მათ შორის მოწვეულ ლექტორებს მიაწოდოს ინფორმაცია პერსონალის შეფასების სისტემის (სტუდენტების უკუკავშირი და კოლეგიალური შეფასების) შესახებ.
- 4.3.2: სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის დროული ჩართულობა სილაბუსების და შეფასების მეთოდების შემუშავებაში და განახლებაში, იმისათვის, რომ თითოეულმა ლექტორმა წინასწარ მიიღოს ინფორმაცია შეფასების მიდგომების შესახებ.
- 4.4.1: სასურველია, მკაფიოდ იყოს დოკუმენტირებული თეორიული / შეფასების კომპონენტების (რომლებიც ჩატარდება კამპუსში) და ზედამხედველობითი კლინიკური პრაქტიკის (რომელიც ჩატარდება პარტნიორ კლინიკებში) განაწილება.
- 4.4.2: სასურველია, შესაბამის დაგეგმვის დოკუმენტში მიზანშეწონილობის მიხედვით აისახოს 2027 წელს დაგეგმილი სტომატოლოგიური ბაზის შექმნის საკითხი.
- 4.5.1: სასურველია, სტუდენტების მცირე რაოდენობის ჩარიცხვის შემთხვევისათვის, უნივერსიტეტმა ჩაატაროს მგრძნობელობის ანალიზი.
- 4.5.2: სასურველია, "პრაქტიკის / კურაციის" ბიუჯეტის გრაფიკი შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო გეგმაში პაციენტთან კონტაქტის ფაქტობრივ განხორციელებასთან.
- 4.5.3: სასურველია, მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, 2027 წელს დაგეგმილი სტომატოლოგიური ბაზის შექმნის საკითხი აისახოს ბიუჯეტში და მიეთითოს კონკრეტული კაპიტალური ხარჯები და ვადები.
- 4.5.1: რეკომენდებულია, ბიუჯეტში გასწორდეს მექანიკური ხარვეზი და ბაკალავრიატის ნაცვლად მიეთითოს ერთსაფეხურიანი პროგრამა.
- 5.1.1: სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დაემატოს სპეციალისტები მედიცინის და სტომატოლოგიური საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლებსაც ამავე დროს ექნებათ სპეციალიზებული დარგობრივი ცოდნა.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

1. სწავლების თანამედროვე მეთოდები, როგორიცაა PBL (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება), CBL (შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება) და სიმულაციაზე დაფუძნებული სწავლება მკაფიოდ არის მხარდაჭერილი და წახალისებული უნივერსიტეტის სწავლება - სწავლის ინსტიტუციური ჩარჩოს ფარგლებში.

2. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის და კარიერული მხარდაჭერის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან, იმისათვის, რომ თითოეული სტუდენტისთვის უზრუნველყოფილ იქნას თანაბარი წვდომა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შესაძლებლობებზე.

3. "ბადი სისტემა" ხელს უწყობს სტუდენტების შეუფერხებელ ადაპტაციას საუნივერსიტეტო გარემოში, ეხმარება მათ მიიღონ ინფორმაცია აკადემიური პროცესების და უნივერსიტეტის ზოგადი საკითხების შესახებ.

4. სტუდენტურ თვითმმართველობაში მოქმედი ომბუდსმენის ერთეული უზრუნველყოფს ფორმალურ მექანიზმს, რომელიც ეხმარება სტუდენტებს წამოაყენონ უფლებებთან დაკავშირებული საკითხები და მიიღონ შესაბამისი მხარდაჭერა.

5. უნივერსიტეტი აწყობს მრავალფეროვან აკადემიურ და კლასგარეშე აქტივობებს, მათ შორის საველე გასვლებს, სპორტულ ღონისძიებებს და კულტურულ პროექტებს, ასევე უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას ყოველწლიურ სტუდენტურ ფესტივალში.

6. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტრუქტურირებულ მხარდაჭერას გაცვლის და მობილობის შესაძლებლობების დაგეგმვასა და ხელმისაწვდომობაში, ასევე უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებულობას და მომზადებას.

7. დაწესებულებას აქვს ძლიერი პრეკლინიკური მომზადების ინფრასტრუქტურა, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს კლინიკურ გარემოში შესვლამდე განივითარონ აუცილებელი საბაზისო უნარები.

8. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალი აჩვენებს მაღალ პროფესიონალიზმს, ძლიერ ინსტიტუციურ ერთგულებას და ხარისხის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობების მკაფიო გააზრებას.

9. უნივერსიტეტი ინარჩუნებს კარგად განსაზღვრულ და ყოვლისმომცველ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას და ინსტრუმენტებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მონიტორინგის, შეფასების და უწყვეტი გაუმჯობესების ძლიერ ჩარჩოს.

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. ჯგუფი დადებითად აფასებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დეტალურ განმარტებებს, რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინების მზაობას, ასევე პროგრამის განხორციელების დაწყებამდე მისი ხარისხის შემდგომი გაძლიერებისთვის

გამოხატულ ერთგულებას. ქვემოთ წარმოდგენილია ექსპერტთა ჯგუფის ოფიციალური პოზიცია თითოეულ რეკომენდაცია-რჩევასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია

1. სტანდარტი 1.1

რეკომენდაცია

1.1.1

უნივერსიტეტმა განმარტა, რომ პროგრამის მიზნები საჯაროდ არ იყო გამოქვეყნებული, რადგან პროგრამის განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, და დაადასტურა, რომ სტუდენტების მიღების დაწყებისთანავე ისინი გამოქვეყნდება მკაფიო და ხელმისაწვდომი ფორმით. ჯგუფი ამ განმარტებას დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ საკითხი პროცედურულ ხასიათს ატარებს და არა შინაარსობრივს. შესაბამისად, **რეკომენდაცია 1.1.1 გადატანილია რჩევების ნაწილში.**

2. სტანდარტები 2.2 და 2.3

უნივერსიტეტი იზიარებს სტანდარტების 2.2 და 2.3 ფარგლებში გაცემულ ყველა რეკომენდაციას, აღიარებს ჯგუფის მიერ გამოკვეთილ საკითხებს და ადასტურებს, რომ პროგრამის დაწყებამდე შემუშავდება და ამოქმედდება შესაბამისი მექანიზმები, მათ შორის: კლინიკური პროცედურების მინიმალური მოთხოვნები, ზედამხედველობისა და მონიტორინგის სისტემები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, კომპეტენციების აღდგენის მექანიზმები და შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტები.

რადგან შეფასების დროს შესაბამისი მექანიზმები ჯერ სრულად შემუშავებული არ იყო და უნივერსიტეტის განმარტებაც ამ გარემოებას ადასტურებს, სტანდარტების 2.2 და 2.3 ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები უცვლელი რჩება.

3. სტანდარტი 2.1

რეკომენდაცია 2.1.1 – სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია

უნივერსიტეტი განმარტავს, რომ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია არსებობდა აკრედიტაციის განაცხადის წარდგენამდე, თუმცა არ იყო თანდართული, რადგან სავალდებულო დანართს არ წარმოადგენდა. ამჟამად დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტზე ბმული.

ექსპერტთა ჯგუფი იხსენებს, რომ აღნიშნული დოკუმენტი აკრედიტაციის ვიზიტის დროს დამატებითი მტკიცებულების სახით პირდაპირ იყო მოთხოვნილი, თუმცა იმ

ეტაპზე არ ყოფილა წარმოდგენილი. აკრედიტაციის პროცედურების შესაბამისად, შეფასების შედეგები უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც შეფასების პროცესში იყო ხელმისაწვდომი.

შესაბამისად, რეკომენდაცია 2.1.1 უცვლელი რჩება.

4. სტანდარტები 4.4 და 4.5

რეკომენდაცია 4.4.1

უნივერსიტეტი იზიარებს რეკომენდაციას და ადასტურებს მზადყოფნას, პარტნიორ კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სტუდენტთა კლინიკურ საქმიანობაში ჩართულობის მოცულობა დამატებით დააზუსტოს და შესაბამისი დოკუმენტაციით უზრუნველყოს. რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

რეკომენდაცია 4.4.2

უნივერსიტეტი იზიარებს რეკომენდაციას და აღწერს სამომავლო ნაბიჯებს კლინიკური ბაზების შესაძლებლობების გადამოწმების მიზნით, მას შემდეგ, რაც ხელმისაწვდომი გახდება პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ოპერაციული მონაცემები. რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

რეკომენდაცია 4.5.1

უნივერსიტეტი აღნიშნავს, რომ ეს საკითხი ტექნიკური/რედაქციული ხარვეზია და არ უკავშირდება პროგრამის შინაარსობრივ ხარისხს. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება, რომ საკითხი ტექნიკური ხასიათისაა. შესაბამისად, რეკომენდაცია 4.5.1 გადატანილია რჩევის ნაწილში.

5. სტანდარტი 5

უნივერსიტეტი იზიარებს სტანდარტი 5.1-ის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციას და რჩევას, აღიარებს მათ მნიშვნელობას და ადასტურებს მზადყოფნას, კიდევ უფრო გააძლიეროს ხარისხის კულტურა და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია. ვინაიდან დაწესებულება სრულად ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის შეფასებებს და არ არის წარმოდგენილი ახალი მტკიცებულებები, რომლებიც თავდაპირველ დასკვნებს გააბათილებდა, სტანდარტი 5-ის შეფასება, ასევე შესაბამისი რეკომენდაცია და რჩევა უცვლელი რჩება.

6. სტანდარტი 3

უნივერსიტეტი იზიარებს სტანდარტი 3-ის ფარგლებში გაცემულ რჩევებს, მათ შორის დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და ბენეფიციარების პროცესების დოკუმენტირების საკითხებთან დაკავშირებით. ვინაიდან დაწესებულება იზიარებს აღნიშნულ რჩევებს და მზადყოფნას გამოხატავს პროგრამის განხორციელების პროცესში გაითვალისწინოს ისინი, სტანდარტი 3-ის ფარგლებში გაცემული რჩევები უცვლელი რჩება.

დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უნივერსიტეტის კონსტრუქციულ ჩართულობას აკრედიტაციის პროცესში და მის მზადყოფნას, პროგრამის განხორციელების დაწყებამდე გააძლიეროს მისი ხარისხი. რეკომენდაციების უმრავლესობა უცვლელი დარჩა, რადგან ისინი ასახავს შეფასების პერიოდში ხელმისაწვდომ მტკიცებულებებს. ამასთან, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი განმარტებების გათვალისწინებით, **ორი რეკომენდაცია — 1.1.1 და 4.5.1 — კლასიფიცირდა და გადატანილია რჩევების ნაწილში.** ექსპერტთა ჯგუფი ინტერესით ელის პროგრამის შემდგომ განვითარებას და წარმოდგენილი მექანიზმების სრულფასოვან დანერგვას.

-
- საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:

1- პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები:

1.1 პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სიის მიხედვით, პროგრამაში ჩართულია:

- ჯამში 50 თანამშრომელი, მათ შორის:
 - o პროფესორები;
 - o ასოცირებული პროფესორები;
 - o ასისტენტ პროფესორები;
 - o ასისტენტები;
 - o მოწვეული ლექტორები.

1.2 დარგობრივი კვალიფიკაციები

- პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი ფლობს დოქტორის ხარისხს სტომატოლოგიაში, მედიცინაში ან ბიოსამედიცინო მეცნიერებებში.
- კლინიკურ დისციპლინებს ასწავლიან აკადემიური პერსონალის წევრები 3 - 9+ წლის კლინიკური გამოცდილებით, პერსონალის შერჩევის პროცედურის შესაბამისად (მუხლი 4.21).

- ინგლისური ენის ცოდნა დადასტურებულია, როგორც ეს მოთხოვნილია ინგლისურენოვან პროგრამაში პედაგოგიური საქმიანობის განსახორციელებლად.

1.3 თანაფარდობები

ვინაიდან პროგრამას ჯერ არ ჰყავს აქტიური სტუდენტები, თანაფარდობები გამოთვლილია მოსალოდნელი რაოდენობების საფუძველზე:

1. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა: დაახლოებით 1:1.2, რაც აჩვენებს დაბალანსებულ დაკომპლექტებას.
2. აფილირებული და არააფილირებული პერსონალის თანაფარდობა: საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუში დასაქმებულია, როგორც აფილირებული აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული კლინიცისტები. თანაფარდობა შეესაბამება პრაქტიკაზე ორიენტირებულ პროგრამას.
3. ხელმძღვანელების და სტუდენტის თანაფარდობა: პროგნოზირებულია, რომ იქნება საკმარისზე მეტი, ვინაიდან პროგრამას აქვს კვალიფიციური ხელმძღვანელების დიდი რესურსი სტუდენტების მოსალოდნელი კონტინგენტის გათვალისწინებით.

1- სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები:

2.1 პუბლიკაციები და კვლევითი პროდუქტიულობა

პირადი საქმეების და გარე შეფასების ანგარიშის საფუძველზე დასტურება, რომ:

- აკადემიური პერსონალის რიგ წევრებს ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვთ პუბლიკაციები საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში.
- კვლევითი პროდუქტიულობა განსხვავებულია აკადემიური პერსონალის წევრებს შორის, რაც დამახასიათებელია ახალი პროგრამისთვის.

2.2 კონფერენციებში მონაწილეობა

- პერსონალს მონაწილეობა აქვს მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, ვორკშოპებში და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში.
- კვლევის მხარდაჭერის ცენტრმა დაადასტურა კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის უწყვეტი მხარდაჭერა.

2.3 სხვა მაჩვენებლები

- პერსონალი ჩართულია შემდეგ ღონისძიებებში:
 - o მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტომატოლოგია;
 - o კლინიკური შემთხვევების პრეზენტაციები;
 - o უწყვეტი პროფესიული განვითარება;
 - o საერთაშორისო ტრენინგები.

1- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი:

- ვინაიდან პროგრამა ახალია, პროგრამის პერსონალის გადინების მაჩვენებელი არ არის ხელმისაწვდომი.
- ინსტიტუციური ადამიანური რესურსების მონაცემები აჩვენებს სტაბილურ საკადრო პოლიტიკას, სადაც პერსონალის დაქირავებას განაპირობებს პროგრამის საჭიროება და არა პერსონალის გადინება.
- არ გამოვლენილა გადინების მტკიცებულება, რომელიც გავლენას მოახდენს პროგრამის მდგრადობაზე.

1- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები:

ვინაიდან პროგრამა ახალია და ჯერ არ ჰყავს აქტიური სტუდენტები: ჩარიცხვის და

- პროგრესის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.
- უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა.
- ჩამოყალიბებულია აკადემიური მონიტორინგის, მობილობის და სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემები.
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა და სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურმა დაადასტურეს პირველი კონტინგენტის მხარდაჭერის მზაობა.

- 1- თვითშეფასებასა და დანართებში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

5.1 მატერიალური და ტექნიკური რესურსები

ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ უნივერსიტეტი ფლობს:

- სიმულაციურ ლაბორატორიებს;
- ფანტომურ ლაბორატორიებს;
- OSCE/OSPE - ის საგამოცდო სივრცეებს;
- ბიოსამედიცინო ლაბორატორიებს;
- კლინიკური მომზადების ბაზებს ("Smile Gallery" და "Kani Clinic");
- საბიბლიოთეკო რესურსებს საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე წვდომით.

აღნიშნული რესურსები აკმაყოფილებენ სტომატოლოგიური განათლების თანამედროვე სტანდარტებს.

5.2 ფინანსური მდგრადობა

- პროგრამის ბიუჯეტი შესაბამისობაშია პროგნოზირებული სტუდენტების რაოდენობასთან და პროგრამის განხორციელების საჭიროებებთან.
- ფინანსური გეგმა თანხვედრაშია დაწესებულების შიდა რეგულაციებთან და სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებთან.

5.3 ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობები

- უნივერსიტეტს აქვს კარგად განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, მონიტორინგის ინსტრუმენტები და დასაქმებული ყავს პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი პერსონალი.
 - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გამყარებულია რაოდენობრივად, სტრუქტურირებული შეფასების ციკლების, გამოკითხვების და მონიტორინგის ინდიკატორების მეშვეობით.
- ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	1.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი / საგანი	შესაბამისობაშია
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	მეტწილად შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია
3.	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები	შესაბამისობაშია
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი
4.	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია
4.2	მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	მეტწილად შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ვაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია

5	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების](#)

[აკრედიტაციის სტანდარტები](#)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების](#)

[სახელმძღვანელო](#)

რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე

[შეფასების კრიტერიუმები](#)

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები.

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის.

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ - ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია და ასახავს სტომატოლოგიის სფეროს სპეციფიკას და კვალიფიკაციის დონეს (ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე - VII საფეხური). უნივერსიტეტის წესდების მე - 3 მუხლის თანახმად, რომელიც ხაზს უსვამს აკადემიურ განვითარებას, ინტერნაციონალიზაციას, ინოვაციას და საზოგადოებაში შეტანილ წვლილს, მიზნები შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.

პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია სტომატოლოგიის დარგობრივ მახასიათებელთან, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და საერთაშორისო სტანდარტებთან (ADEE, ADEA, WHO, FDI). მათში ასახულია პროგრამის განზრახვა, მოამზადოს კურსდამთავრებულები, რომლებსაც ექნებათ:

- სრულყოფილი ბიოსამედიცინო, კლინიკური და სტომატოლოგიური ცოდნა;
- კლინიკური აზროვნების და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების უნარები;
- ეთიკური და სამართლებრივი კომპეტენციები;
- უწყვეტი განათლების და პროფესიული განვითარების ვალდებულება.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, მიზნები შემუშავდა თანამშრომლობითი პროცესის მეშვეობით, რომელშიც ჩართული იყვნენ აკადემიური პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, დამსაქმებლები და გარე ექსპერტები.

მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომია და გაზიარებულია პროგრამის დოკუმენტაციის და უნივერსიტეტის ვებ - გვერდის მეშვეობით.

ასევე, მიზნები ასახავს შრომის ბაზრის საჭიროებებს, რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშში დამსაქმებლებთან კონსულტაციებსა და ანალოგიურ საერთაშორისო პროგრამებთან შედარების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციით. მკაფიოდ არის წარმოდგენილი პროგრამის წვლილი საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სტომატოლოგიის სფეროს განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს მისია, ხედვა და ღირებულებები (უნივერსიტეტის წესდება, მე - 3 მუხლი);
- o სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა;
- o თვითშეფასების ანგარიშის 1.1 კომპონენტის ნაწილი;
- o საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და გაუმჯობესების წესი;
- o შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებლების უკუკავშირი;
- o ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o სასურველია, დოკუმენტურად გაიეწეროს დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები) ჩართულობა პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებაში და გადახედვაში.
- o სასურველია, პროგრამის მიზნები მკაფიოდ იყოს დაკავშირებული საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს სტრატეგიულ გეგმასთან.
- o აკრედიტაციის სტანდარტი მოითხოვს პროგრამის მიზნების საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, თუმცა, შეფასების პროცესის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი მტკიცებულება დაინტერესებული მხარეებისთვის მიზნების საჯაროობის და მარტივად ხელმისაწვდომობის შესახებ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<u>1.1 პროგრამის მიზნები</u>	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან, შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე - VII საფეხურის აღმწერებთან და სტომატოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან. სწავლის შედეგების ჩამოყალიბების და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიო, გაზომვადი, რეალისტური და მიღწევადია.

პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს სამივე მიმართულებას:

- ცოდნა და გაცნობიერება;
- უნარები;
- პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

ისინი ასახავენ თანამედროვე სტომატოლოგიური პრაქტიკისთვის აუცილებელ კომპეტენციებს, მათ შორის:

- ბიოსამედიცინო და კლინიკურ მეცნიერებებს;
- სტომატოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკას, პრევენციას და მკურნალობას;
- კომუნიკაციას და გუნდურ მუშაობას;
- მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკას;
- ეთიკურ და სამართლებრივ პასუხისმგებლობებს;
- მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლას.

პროგრამას აქვს სასწავლო გეგმის რუკა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ უწყობს ხელს თითოეული კურსი კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას გაცნობა, გადრმავების და განმტკიცების დონეებზე. აღნიშნული რუკა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებში აღწერილ მეთოდოლოგიასთან.

დოკუმენტირებულია დაინტერესებული მხარეების, მათ შორის აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების და გარე ექსპერტების ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში. პროგრამის სწავლის შედეგები ხელს უწყობს კურსდამთავრებულების დასაქმებადობას და რეზიდენტურაში ან სადოქტორო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ყოვლისმომცველია, კარგად სტრუქტურირებულია და შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის სწავლის შედეგები (თვითშეფასების ანგარიშის 1.2 კომპონენტის ნაწილი);
- პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების და შეფასების მეთოდოლოგია;
- სასწავლო გეგმის რუკა;
- თვითშეფასების ანგარიშის 1.2 კომპონენტის ნაწილი;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- დაინტერესებული მხარეების კონსულტაციების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- დაინტერესებული მხარეების ჩართულობა სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას (პროგრამის შემუშავების წესი, მუხლი 2.2, მე - IV თავი). შესაბამისად, სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამაზე სტუდენტების მიღების შემდგომ უზრუნველყოს მათი მონაწილეობა პროგრამის განვითარების მომდევნო ციკლებში.
- უნივერსიტეტის განცხადებით, პროგრამის სწავლის შედეგები შედარებულ იქნა სტომატოლოგიის საერთაშორისო პროგრამებთან. თუმცა, აღნიშნული პროცესი არასაკმარისად არის დოკუმენტირებული და დამადასტურებელი მტკიცებულება შეზღუდულია.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
------------	----------

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს დანერგილი აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კარგად განსაზღვრული, სისტემური და გამჭვირვალე მექანიზმი, რომელიც რეგულირდება სწავლის შედეგების ჩამოყალიბების და შეფასების მეთოდოლოგიით. შეფასების ციკლი მოიცავს:

- სწავლის შედეგების განსაზღვრას;
- სასწავლო გეგმის კომპონენტებთან სწავლის შედეგების დაკავშირებას;
- მონაცემების შეგროვებას პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით;
- სწავლის შედეგების ანალიზს სამიზნე ნიშნულებთან მიმართებით;
- პროგრამის გაუმჯობესების აქტივობების განხორციელებას.

პირდაპირი შეფასების მეთოდები მოიცავს: OSCE, OSPE, Mini - CEX, DOPS, წერით გამოცდებს, ზეპირ გამოცდებს, კვლევით ნაშრომებს, კლინიკური უნარების ჩვენებას.

არაპირდაპირი შეფასების მეთოდები მოიცავს სტუდენტების თვითშეფასებას, კურსდამთავრებულების და დამსაქმებელთა გამოკითხვებს, ასევე პრაქტიკის ხელმძღვანელების შეფასებებს.

თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილია სამიზნე ნიშნულები, ხოლო მეთოდოლოგია, შიდა რეგულაციების შესაბამისად იყენებს გაუსის განაწილებას, მიღწევის დონეების გაანალიზების მიზნით.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, ასევე კურსის შინაარსში, წინაპირობებში და სწავლების მეთოდებში ცვლილებების განსახორციელებლად. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების საშუალებით დაინტერესებული მხარეები იღებენ ინფორმაციას შეფასების შედეგების შესახებ.

მექანიზმი ყოვლისმომცველია და შეესაბამება აკრედიტაციის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o სწავლის შედეგების ჩამოყალიბების და შეფასების მეთოდოლოგია;
- o პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- o სამიზნე ნიშნულები და შეფასების ინსტრუმენტები;
- o ინტერვიუს შედეგები;
- o თვითშეფასების ანგარიშის 1.3 კომპონენტის ნაწილი.

რეკომენდაციები.

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტომატოლოგიის პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი შიდა მეთოდოლოგიის შესაბამისად და აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობის და ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების (ECTS) სახელმძღვანელო პრინციპების მოთხოვნებს. სტრუქტურა ლოგიკურია, თანმიმდევრულია და უზრუნველყოფს საბაზისო ბიოსამედიცინო მეცნიერებებიდან პრეკლინიკურ და კლინიკურ სწავლებამდე პროგრესულ განვითარებას.

პროგრამის ძირითადი ძლიერი ასპექტებია:

- ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაცია (მაგალითად, ანატომია - ჰისტოლოგია, იმუნოლოგია - მიკრობიოლოგია, დენტალური იმპლანტოლოგია);
- თეორიული, ლაბორატორიული და კლინიკური კომპონენტების დაბალანსებული განაწილება;
- მკაფიო წინაპირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ლოგიკურ განვითარებას;
- პროგრამაში გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის, კვლევითი და ინტერდისციპლინური მოდულები;
- ინტერნაციონალიზაციის ელემენტები, მათ შორის სწავლება ინგლისურ ენაზე და საერთაშორისო ლიტერატურის გამოყენება.

პროგრამა ასახავს თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს და მოიცავს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკას. დაინტერესებული მხარეები მონაწილეობდნენ პროგრამის შემუშავებაში, ხოლო გარე ექსპერტების კოლეგიალური შეფასების საფუძველზე განხორციელდა პროგრამის საბოლოო გადახედვა.

სტრუქტურა უზრუნველყოფს შესაბამისობას პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას შორის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o პროგრამის სასწავლო გეგმა და სილაბუსები;
- o სასწავლო გეგმის რუკა;
- o საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია;
- o საერთაშორისო პროგრამებთან შედარება;
- o თვითშეფასების ანგარიშის 1.4 კომპონენტის ნაწილი;
- o ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის	შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- | | | |
|----------|--------|----------|
| ძირითადი | სფეროს | სასწავლო |
|----------|--------|----------|

კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თითოეულ სასწავლო კურსს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული სწავლის შედეგები, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები და შეფასების კომპონენტები შეესაბამება განათლების დონეს და უზრუნველყოფს მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კრედიტების და დატვირთვის განაწილება დასაბუთებულია და შეესაბამება კურსის სირთულეს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა განაწილებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების (ECTS) სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით.

სასწავლო მასალები მოიცავს უახლეს საერთაშორისო სახელმძღვანელოებს, სამეცნიერო სტატიებს და ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე წვდომას, რაც უზრუნველყოფს სტომატოლოგიის დარგში თანამედროვე მიღწევებთან შესაბამისობას.

დაგეგმილია მრავალფეროვანი და შესაბამისი შეფასების მეთოდების გამოყენება, როგორცაა OSCE, OSPE, Mini - CEX, DOPS, წერიტი გამოცდები და პრაქტიკული შეფასებები.

ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასწავლო კურსების სტრუქტურა შეესაბამება აკრედიტაციის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o სილაბუსები და სასწავლო კურსების აღწერილობები;
- o სასწავლო გეგმის რუკა;

- o კურსების სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- o სასწავლო მასალები და საბიბლიოთეკო რესურსები;
- o უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;
- o თვითშეფასების ანგარიშის 1.5 კომპონენტის ნაწილი.

რეკომენდაციები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o სილაბუსები ახალი შემუშავებულია და გადახედილ იქნა პროგრამის მომზადების, გარე ექსპერტების და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასების პროცესში. თუმცა, ვინაიდან პროგრამას ჯერ არ ჰყავს აქტიური სტუდენტები ყოველწლიური შეფასების სრული ციკლი ჯერ არ განხორციელებულა. ინტერვიუების ფარგლებში დადასტურდა, რომ პროგრამის განხორციელების შემდგომ დაწესებულება მზადაა უზრუნველყოს სილაბუსების რეგულარული გადახედვა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<u>1.5 სასწავლო კურსი/საგანი</u>	შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

2.1 კომპონენტის მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის დოკუმენტაცია და ჩაატარა ინტერვიუები რექტორთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენლებთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან.

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები მკაფიოდ არის განსაზღვრული პროგრამის დოკუმენტაციაში და ზოგადად შეესაბამება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებასთან დაკავშირებულ ეროვნულ მარეგულირებელ კანონმდებლობას. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პროგრამაზე მიღება განსაზღვრულია ერთიანი ეროვნული გამოცდებით, მობილობის პროცედურებით და ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს სტომატოლოგიის დარგობრივი მახასიათებლით რეკომენდებულ ინგლისური ენის მინიმალურ კომპეტენციას და აპლიკანტებისგან მოითხოვს ინგლისური ენის ცოდნის დადასტურებას სულ მცირე B1 დონეზე.

ინტერვიუების ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელმა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აპლიკანტები, რომლებიც ვერ წარმოადგენენ საერთაშორისოდ აღიარებულ ინგლისური ენის სერტიფიკატს, ჩააბარებენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ინგლისური ენის შიდა ტესტირებას. ასევე, აღინიშნა, რომ ვიზასთან დაკავშირებული პოტენციური შეზღუდვების გათვალისწინებით, უნივერსიტეტი გეგმავს შიდა ინგლისური ენის გამოცდის დისტანციურად ჩატარებას. აპლიკანტების ენობრივი კომპეტენციის შესაფასებლად, გამოცდა მოიცავს როგორც წერით, ისე ზეპირ კომპონენტებს. აპლიკანტები, რომლებიც ვერ დაადასტურებენ ინგლისური ენის ცოდნას მოთხოვნილ დონეზე, დაკარგავენ პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს საერთაშორისო აპლიკანტებისთვის მიღების პროცესის გამჭვირვალობას, ხელმისაწვდომობას და სამართლიანობას.

პროგრამის დოკუმენტაციაში ასევე მითითებულია პროგრამაზე დაშვების სპეციფიკური მოთხოვნები, მათ შორის საგნობრივი წინაპირობები იმ აპლიკანტებისთვის, რომლებიც პროგრამაზე ჩარიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების მეშვეობით. აღნიშნული მოთხოვნები შეესაბამება სტომატოლოგიის პროგრამას და თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო საწყისი დონის ცოდნასთან.

ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას წინ უსწრებდა შრომის ბაზრის ანალიზი და კონსულტაციები, რომლებიც ჩაატარა უნივერსიტეტის მიერ შექმნილმა მულტიდისციპლინურმა სამუშაო ჯგუფმა. პროგრამა შემუშავებულია ჩინეთიდან, ტაილანდიდან, ბანგლადეშიდან და ინდოეთიდან საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის სტრატეგიული ფოკუსით, რისთვისაც უნივერსიტეტმა დაწერა აღნიშნული სამიზნე ჯგუფის მხარდაჭერაზე მორგებული მიღების პროცედურები.

პროგრამაზე დაგეგმილია ყოველწლიურად დაახლოებით 30 სტუდენტის მიღება, რაც პროგრამის 5 წლიანი ციკლის განმავლობაში გამოიწვევს პროგნოზირებული 150 სტუდენტის ჩარიცხვას. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს მოითხოვა დოკუმენტი, რომელშიც აღწერილი იქნებოდა სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა და დაგეგმილი მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის დასაბუთება, რომელიც სამწუხაროდ არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა სრულყოფილად ვერ შეაფასა პროგნოზირებული კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია, ხელმისაწვდომი აკადემიური, კლინიკური, ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.

მთლიანობაში, პროგრამაზე მიღების პროცედურები გამჭვირვალეა, საჯაროდ ხელმისაწვდომია და ადეკვატურად არის აღწერილი პროგრამის დოკუმენტაციაში. მიუხედავად ამისა, დამატებითი დოკუმენტირებული მტკიცებულება სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის შესახებ, მკაფიოდ დაასაბუთებს პროგნოზირებულ მისაღებ რაოდენობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს სტომატოლოგიის პროგრამის დოკუმენტაცია;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს დოკუმენტირებული სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც გაითვალისწინებს სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკურ მახასიათებლებს, ინსტიტუციურ რესურსებს და უნივერსიტეტის სტრატეგიულ ხედვას, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას საგანმანათლებლო პროცესის მდგრადი და შეუფერხებელი განხორციელება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	მეტწილად შესაბამისობაშია
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	
პროგრამა სტუდენტთა სამეცნიერო / უნარების ჩართვას.	უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, პრაქტიკული, კვლევითი / განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვინაიდან საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის პროგრამა ახალია, მონაცემები პროგრამის განხორციელების, სტუდენტების მიღწევების ან სტომატოლოგიაში პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მექანიზმების ეფექტურობის შესახებ არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ეფუძნება პროგრამის დოკუმენტაციას, თვითშეფასების ანგარიშს, სასწავლო კურსების სილაბუსებს, დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებულ ინტერვიუებს და დამატებით დოკუმენტაციას.

პროგრამა შემუშავებულია სტუდენტების პროფესიული კომპეტენციების თანმიმდევრული განვითარების უზრუნველსაყოფად ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მეშვეობით, რომელიც მოიცავს თეორიულ, პრეკლინიკურ, კლინიკურ, კვლევით და საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპონენტებს. სასწავლო გეგმა მოიცავს 300 კრედიტს, მათ შორის ზოგად განათლებას, ბიოსამედიცინო მეცნიერებებს, პრეკლინიკურ და კლინიკურ სტომატოლოგიას, კვლევაზე ორიენტირებულ კურსებს, საზოგადოებრივ ჯანდაცვას და არჩევით კურსებს. პროგრამის დოკუმენტაციის თანახმად, სტუდენტები თანმიმდევრულად იძენენ თეორიულ ცოდნას, ივითარებენ სიმულაციაზე დაფუძნებულ პრაქტიკულ უნარებს და კლინიკურ კომპეტენციებს ლაბორატორიული სამუშაოების, ზედამხედველობით განხორციელებული კლინიკური პრაქტიკის, როლური თამაშების და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სწავლების

მიდგომების გამოყენებით. სასწავლო გეგმა მოიცავს კვლევაზე ორიენტირებულ კურსებს, მათ შორის აკადემიურ წერას, სამეცნიერო კვლევის მეთოდებს, ეპიდემიოლოგიას და ბიოსტატისტიკას და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სტომატოლოგიას, რაც ხელს უწყობს კვლევითი კომპეტენციების და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას.

თვითშეფასების ანგარიშის და პროგრამის დოკუმენტაციის თანახმად, პრაქტიკული სწავლება ხორციელდება სიმულაციაზე დაფუძნებული სწავლების, უნივერსიტეტის ბაზების და აფილირებულ სამედიცინო დაწესებულებებში კლინიკური განაწილების მეშვეობით. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თითოეული კლინიკური კურსის სილაბუსს თან ერთვის კლინიკური პრაქტიკის ჟურნალი, რომელიც აღწერს სტუდენტების კლინიკურ აქტივობებს, ხელმძღვანელის უკუკავშირს და კომპეტენციების განვითარებას.

თუმცა, ინდივიდუალური სასწავლო კურსების სილაბუსების, კერძოდ კლინიკური სტომატოლოგიის დისციპლინების სილაბუსების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ, პროგრამაში აღწერილი პრაქტიკული კომპონენტი თანმიმდევრულად არ არის ასახული სილაბუსებში. მიუხედავად იმისა, რომ კლინიკური კურსების სწავლის შედეგებში მითითებულია ზედამხედველობის ქვეშ სტუდენტების მიერ პაციენტების გასინჯვა, დიაგნოზის დასმა და მკურნალობის ჩატარება, სილაბუსებში თანმიმდევრულად არ არის განსაზღვრული კომპეტენციების განვითარებისათვის აუცილებელი პაციენტზე დაფუძნებული კლინიკური პროცედურების მინიმალურ რაოდენობა. მაგალითად, სემესტრ X - ის სასწავლო კურსში "პრაქტიკა თერაპიულ სტომატოლოგიაში" მითითებულია, რომ სტუდენტებმა ზედამხედველობის ქვეშ უნდა გასინჯონ პაციენტები, დასვან დიაგნოზი და უზრუნველყონ მკურნალობა. სილაბუსში ასევე განსაზღვრულია სავარძელთან სწავლება, რომელიც წარმოადგენს ერთ - ერთ ძირითად სწავლების მეთოდს. შეფასების სისტემა ძირითადად მოიცავს ქვიზებს, კლინიკური შემთხვევების ანალიზს, პრეზენტაციებს, როლურ თამაშებს, შუალედურ გამოცდას და OSCE - ს, თუმცა არ არის განსაზღვრული შეფასებადი პაციენტზე დაფუძნებული კლინიკური პროცედურები ან კლინიკური პროცედურების მინიმალური მოთხოვნები, რომლებიც უნდა წარმოადგენდნენ საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეაფასა დოკუმენტურად აღწერილი მექანიზმები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ, რომ სტუდენტები საბოლოო პრაქტიკული გამოცდის ჩაბარებამდე პაციენტებთან უშუალო კომუნიკაციით მიაღწევენ კლინიკური გამოცდილების

შესაბამის დონეს. გარდა ამისა, საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობად არ არის განსაზღვრული ზედამხედველობის ქვეშ განხორციელებული კლინიკური პროცედურების მინიმალური რაოდენობა. ვინაიდან სასწავლო კურსი "პრაქტიკა თერაპიულ სტომატოლოგიაში" წარმოადგენს პროგრამის ერთ - ერთ კლინიკურ კურსს, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პაციენტზე დაფუძნებული მინიმალური კლინიკური მოთხოვნები მკაფიოდ უნდა იყოს დოკუმენტირებული, რაც გააძლიერებს კომპეტენციებზე დაფუძნებული კლინიკური განათლების თანმიმდევრულობას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ობიექტურ მტკიცებულებას.

ინტერვიუების ფარგლებში დადასტურდა, რომ კლინიკური სწავლება ასევე განხორციელდება გარე სტომატოლოგიურ კლინიკებში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სათანადოდ არ არის დოკუმენტირებული პროცედურები, რომლებიც კლინიკებში განაწილების პერიოდში აღწერენ სტუდენტების სასწავლო გამოცდილების მონიტორინგს და შეფასებას, კომპეტენციების მიღწევას და ხარისხის უზრუნველყოფას. ასევე, არ იყო წარმოდგენილი ფორმალური ინსტიტუციური პროცედურა, რომელიც აღწერს, თუ როგორ განივითარებენ კლინიკურ კომპეტენციებს ის სტუდენტები, რომლებმაც საპატიო მიზეზით (მაგალითად, ავადმყოფობა) ვერ გაიარეს კლინიკური როტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ან დამატებითი კლინიკური აქტივობების მეშვეობით. საერთო ჯამში, პროგრამა აჩვენებს პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული კომპეტენციების განვითარებისთვის აუცილებელ კონცეპტუალურ ჩარჩოს. პროგრამის დოკუმენტაციასა და ინდივიდუალური სასწავლო კურსების სილაბუსებს შორის უფრო მჭიდრო შესაბამისობა, კლინიკური კომპეტენციების მოთხოვნების და მონიტორინგის მექანიზმების უფრო მკაფიო დოკუმენტირება გააძლიერებს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების თანმიმდევრულ მიღწევას.

აღნიშნული საკითხი თანმიმდევრულად გამოვლინდა შესწავლილ სტომატოლოგიის დისციპლინების სილაბუსებში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში აქცენტი კეთდება პრაქტიკული კლინიკური კომპეტენციების განვითარებაზე, ინდივიდუალური სასწავლო კურსების სილაბუსებში თანმიმდევრულად არ არის განსაზღვრული პაციენტზე დაფუძნებული მინიმალური კლინიკური პროცედურები ან პრაქტიკული კომპეტენციების

მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების თანმიმდევრული მიღწევის უზრუნველსაყოფად.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფს სტრუქტურირებულ და პროგრესულ მიდგომას კვლევითი კომპეტენციების განვითარების მიმართ. სასწავლო გეგმაში ინტეგრირებულია კვლევითი უნარები, რომელიც მოიცავს აკადემიურ წერას, სამეცნიერო კვლევის მეთოდებს, ეპიდემიოლოგიას და ბიოსტატისტიკას და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სტომატოლოგიას, რაც სტუდენტებში თანმიმდევრულად ავითარებს სამეცნიერო მსჯელობის, კვლევის მეთოდოლოგიის, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული შეფასების და მტკიცებულებებზე დაფუძნებული კლინიკური გადაწყვეტილებების მიღების კომპეტენციებს.

შესწავლილი სილაბუსებით დასტურდება, რომ სტუდენტებისგან მოსალოდნელია კვლევის ეთიკის, ლიტერატურის მოძიების, კვლევის დიზაინის, ეპიდემიოლოგიური მეთოდების, სტატისტიკური ანალიზის, სამეცნიერო მტკიცებულებების კრიტიკული შეფასების და კვლევის შედეგების ინტერპრეტაციის კომპეტენციების განვითარება. სასწავლო კურსები ასევე ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების გამოყენებას კლინიკური გადაწყვეტილებების მიღებაში შემთხვევის ანალიზის, სამეცნიერო დისკუსიების და კვლევაზე ორიენტირებული დავალების მეშვეობით. გარდა ამისა, შეფასების სტრატეგია მოიცავს კვლევით ნაშრომებს, პრეზენტაციებს, კლინიკური შემთხვევების ანალიზს და წერით გამოცდებს, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს გამოავლინონ სამეცნიერო მსჯელობის, კრიტიკული აზროვნების, ლიტერატურის მოძიების და კომუნიკაციის უნარები. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასწავლო გეგმა მოიცავს საბაკალავრო საფეხურის სტომატოლოგიის სტუდენტებისგან მოსალოდნელი კვლევითი კომპეტენციების განვითარებისთვის აუცილებელ ჩარჩოს და მხარს უჭერს მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტომატოლოგიის პრინციპებს.

პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შვიდ აფილირებულ სტომატოლოგიურ კლინიკასთან, სადაც განხორციელდება კლინიკური პრაქტიკის კომპონენტები. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ორი კლინიკური ბაზა, იმისათვის, რომ შეეფასებინა პრაქტიკული კომპონენტის შესაბამისი გარემო. კლინიკური სასწავლო გარემოს ხარისხთან დაკავშირებული მიგნებები აღწერილია შესაბამის კომპონენტში.

პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ვალდებულება წარმოდგენილია საერთაშორისო პარტნიორებთან, მათ შორის Waseda Medical College - თან და Waseda Dental Clinic - თან, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში. აღნიშნული მემორანდუმები ქმნიან სტუდენტების და პერსონალის მობილობის, ერთობლივი კვლევითი საქმიანობის, აკადემიური გაცვლის, საერთაშორისო ინიციატივებში ჩართულობის, ერთობლივი საგანმანათლებლო აქტივობების შემუშავების, სამეცნიერო შეხვედრების და კონფერენციების ორგანიზების და მოკლევადიანი პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობებს. აღნიშნული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციას და წვლილს შეიტანს სტუდენტების აკადემიური, კვლევითი და პროფესიული კომპეტენციების განვითარებაში.

საბოლოო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეროვნული და საერთაშორისო პარტნიორობები უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ, კლინიკურ განათლებასთან, აკადემიურ თანამშრომლობასთან, კვლევით საქმიანობასთან და საერთაშორისო მობილობასთან მიმართებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- აფილირებულ სამედიცინო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმები და კლინიკური პრაქტიკის ხელშეკრულებები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

- ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ კლინიკური სტომატოლოგიის სილაბუსებში თანმიმდევრულად არ არის განსაზღვრული პაციენტზე დაფუძნებული კლინიკური პროცედურების მინიმალურ რაოდენობა, რომელიც მოთხოვნილია პრაქტიკული კომპეტენციების მისაღწევად. რეკომენდებულია, თითოეული კლინიკური კურსში აისახოს მინიმალური კლინიკური პროცედურული მოთხოვნები, ხოლო მათი წარმატებით დასრულება განისაზღვროს, როგორც საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობა.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს კლინიკური განაწილების პერიოდში სტუდენტების კლინიკური მოსწრების ზედამხედველობის, მონიტორინგის, დოკუმენტირების, უკუკავშირის და შეფასების სტრუქტურირებული სისტემა.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, მაკომპენსირებელი კლინიკური აქტივობების და კომპეტენციების აღდგენის მექანიზმების განმსაზღვრელი პოლიტიკა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას კურსის დასრულებამდე მოთხოვნილი პრაქტიკული უნარების და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვინაიდან GIU-ს სტომატოლოგიის პროგრამა ახლადშექმნილია, ამჟამად ისტორიული მონაცემები სწავლებისა და სწავლის მეთოდების განხორციელებისა და ეფექტურობის შესახებ არ არსებობს. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამის დოკუმენტაციას,

თვითშეფასების ანგარიშს, კურსის სასწავლო გეგმებს და აკრედიტაციის ინტერვიუების დროს მიღებულ ინფორმაციას ეფუძნებოდა.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ GIU-ს სტომატოლოგიის პროგრამამ სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო მიდგომა დანერგა. იგი თანამედროვე სწავლებისა და სწავლის მეთოდების ფართო სპექტრს მოიცავს, რომლებიც ერთსაფეხურიან სტომატოლოგიურ პროგრამას შეეფერება და შეესაბამება პროგრამის მიერ დაგეგმილ სწავლის შედეგებს. პროგრამის დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სასწავლო გეგმა სტომატოლოგიის საგნის საორიენტაციო დებულების შესაბამისად არის შემუშავებული და აერთიანებს თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებს, რომლებიც თეორიული ცოდნის, კლინიკური აზროვნების, კომუნიკაციის, პროფესიონალიზმისა და კრიტიკული აზროვნების პროგრესულ განვითარებას უწყობენ ხელს.

განხილული სასწავლო პროგრამები თანმიმდევრულად მოიცავს სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვან მეთოდებს, მათ შორის ინტერაქტიულ ლექციებს, სემინარებს, დისკუსიებს, დემონსტრირებას, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლას (PBL), შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლას (CBL), როლურ თამაშებს, სიმულაციაზე დაფუძნებულ სწავლას, პაციენტის სავარძელთან სწავლებას, კლინიკური შემთხვევის ანალიზს, Mini-CEX-ს, DOPS-ს და OSCE/OSPE-ს. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ეს მეთოდები სათანადოდ არის დაკავშირებული დასახულ სწავლის შედეგებთან და შეფასების სტრატეგიებთან, რაც სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას, კლინიკურ აზროვნებას, ანალიტიკურ აზროვნებას, კომუნიკაციის უნარებს, გუნდურ მუშაობას და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილების მიღებას უწყობს ხელს.

ინტერვიუების დროს, აკადემიურმა პერსონალმა თანამედროვე სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომების მკაფიო გაგება აჩვენა და დაადასტურა, რომ მათ მონაწილეობა აქვთ მიღებული თანამედროვე სწავლების მეთოდოლოგიებთან დაკავშირებულ პროფესიული განვითარების აქტივობებში. ექსპერტთა ჯგუფი ამას პროგრამის წარმატებით განხორციელებისა და დასახული სასწავლო შედეგების მიღწევის მნიშვნელოვან წინაპირობად მიიჩნევს.

პროგრამა საერთაშორისო სტუდენტებისთვის არის შექმნილი და მთლიანად ინგლისურ ენაზე ტარდება. ინტერვიუების დროს უნივერსიტეტმა განმარტა, რომ საერთაშორისო სტუდენტები საჭიროების შემთხვევაში აკადემიურ და ენობრივ მხარდაჭერას მიიღებენ დამატებითი ენობრივი კურსების საშუალებით, რაც მათ საგანმანათლებლო გარემოში წარმატებულ ინტეგრაციას ხელს შეუწყობს.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ პროგრამა სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსებს მოიცავს.

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაგეგმილი სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება პროგრამის დონესა და მიზნებს და „სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის“ მოთხოვნებს პასუხობს.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ თანამედროვე შეფასების მეთოდები, მათ შორის DOPS, Mini-CEX, OSCE და OSPE, აღწერილია პროგრამის დოკუმენტაციასა და კურსის სილაბუსებში. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის შემდეგ, უნივერსიტეტმა შესაბამისი შეფასების დოკუმენტაცია (მაგ., შეფასების ფორმები, შეფასების რუბრიკები, ქულების დადგენის კრიტერიუმები ან გამომცდელების სახელმძღვანელო მითითებები) არ მიაწოდა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა ამ შეფასების მეთოდების სტანდარტიზაციისა და დანერგვის გადამოწმება ვერ შეძლო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში (SER);
- კურსის სილაბუსები;
- GIU სტომატოლოგიის პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, სტუდენტების კომპეტენციების გამჭვირვალე, ობიექტური, ვალიდური და თანმიმდევრული შეფასების უზრუნველსაყოფად, ასევე სამუშაო

გარემოში განხორციელებული და კლინიკური შეფასების მეთოდებისათვის (მაგალითად, DOPS, Mini - CEX, OSCE, OSPE და ა.შ.) შემუშავდეს და დოკუმენტურად გაიწეროს სტანდარტიზებული შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების რუბრიკები და საგამოცდო კომისიის სახელმძღვანელო მითითებები.

- [რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტების შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და 5 დადებით კატეგორიად (შესანიშნავიდან დამაკმაყოფილებელამდე, 91-51 ქულით) და ორ უარყოფით კატეგორიად (fx და f) არის დაყოფილი, .

კურსის წარმატებით ჩასაბარებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 51 ქულა, რომელიც შუალედური და საბოლოო შეფასებიდან მიღებული ქულების გაერთიანებით გამოითვლება, თითოეულისთვის დადგენილი მინიმალური ზღვრების დაკმაყოფილების შემდეგ. კურსის ლექტორები განსაზღვრავენ ქულების განაწილებას და მათ შემადგენლობას

საგნის კონკრეტული საჭიროებების საფუძველზე. როგორც წესი, გამოყენებულია შუალედურ და საბოლოო შეფასებებს შორის 70/30 ან 60/40 თანაფარდობა.

სტუდენტებს, რომლებიც პირველივე ცდაზე ვერ ჩააბარებენ, მაგრამ FX-ს (41-50) მიაღწევენ, უნივერსიტეტი აძლევს შესაძლებლობას, საბოლოო შედეგებიდან სულ მცირე 5 დღის შემდეგ ხელახლა ჩააბარონ გამოცდა იმავე სემესტრში. ამ დამატებითი გამოცდის ქულა კურსის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს. თუ ამ მცდელობის შემდეგ საბოლოო ქულა 52-ზე ნაკლები დარჩება, ენიჭებათ F შეფასება.

სასწავლო წელი 18-კვირიანი სემესტრული გრაფიკით მიმდინარეობს. შუალედური გამოცდები მე-8 და მე-9 კვირაში ტარდება, საბოლოო გამოცდები - მე-17 და მე-18 კვირაში, ხოლო ბოლო კვირა გამოცდის ხელახლა ჩაბარებას ეთმობა.

ყველა აკადემიური ინფორმაცია, კურსზე რეგისტრაცია, სილაბუსები და შეფასებები სტუდენტებისთვის დისტანციურად არის ხელმისაწვდომი ელექტრონული პორტალის საშუალებით, სადაც ინდივიდუალური მონაცემების გამოყენებით შედიან.

სწავლის შედეგების შესაფასებლად პროგრამა პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს იყენებს. პირდაპირი შეფასება ინდივიდუალურ კურსებში აკადემიურ მოსწრებას აფასებს ისეთი მორგებული ფორმატების გამოყენებით, როგორიცაა ვიქტორინები, მრავალპასუხიანი ტესტები, მოკლე პასუხის კითხვები, კლინიკური შემთხვევების პრეზენტაციები და კვლევითი ნაშრომები. პრაქტიკულ გარემოში უნარები იზომება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლის, OSCE და OSPE გამოცდების საშუალებით.

არაპირდაპირი შეფასება სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ლექტორებთან და დამსაქმებლებთან გამოკითხვებსა და ინტერვიუებს ეფუძნება. ხარისხის უზრუნველყოფის გუნდი და პროგრამის მენეჯერები ამ მონაცემებს სასწავლო გეგმის კორექტირების მიზნით ამოწმებენ. უკუკავშირის ეს ციკლი პრაქტიკულ განახლებებს განაპირობებს, როგორიცაა სწავლების მეთოდების შეცვლა, კურსის დატვირთვის კორექტირება, შეფასების ფორმატების შეცვლა, სახელმძღვანელოების განახლება ან კურსის წინაპირობების გადახედვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o თვითშეფასების ანგარიში (SER)

o ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<u>2.4 სტუდენტების შეფასება</u>	შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტმა შექმნა სერვისების მყარი, ფუნქციონალური ქსელი, რომელიც მიზნად სტუდენტების დახმარებას ისახავს მათი აკადემიური გზის

განმავლობაში. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში უნივერსიტეტი სტრუქტურირებულ საინფორმაციო სესიებსა და პრეზენტაციებს ატარებს. ეს შეხვედრები ძალიან სასარგებლოა, რადგან ამ დროს ხდება რთული აკადემიური პროცედურების განმარტება, როგორცაა სემესტრის რეგისტრაცია, კრედიტების დაგროვება, შეფასების კონკრეტული წესები და შეფასების სისტემა.

ამ შესავალი შეხვედრების გარდა, სტუდენტთა კონსულტაცია ღრმად არის ინტეგრირებული სტუდენტების ყოველდღიურ რუტინაში - მათ შეუძლიათ წინასწარ განსაზღვრული გრაფიკი შეადგინონ კურსის ხელმძღვანელებთან ინდივიდუალური კონსულტაციის საათებისთვის. ეს უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს, რომლებსაც უჭირთ კონკრეტული საგნების შესწავლა ან უბრალოდ სურთ აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება, ჰქონდეთ პროფესორებთან პირდაპირი და რეგულარული წვდომა.

უნივერსიტეტს აქვს ცენტრალიზებული ონლაინ პლატფორმა, რომელიც როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზეა ხელმისაწვდომი. ეს ორენოვანი სისტემა ენობრივ ბარიერებს წარმატებით ხსნის, რაც საერთაშორისო სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ წვდომა სერვისებზე, დაწყებული მათი გრაფიკის შემოწმებიდან და სასწავლო ადგილების დაჯავშნიდან, დამთავრებული კლასგარეშე აქტივობების მართვით. იგი ასევე საშუალებას აძლევს სტუდენტებს შექმნან სტუდენტური კლუბები და მოითხოვონ ინსტიტუციური დაფინანსება, რაც ხელს უწყობს სტუდენტების მიერ ინიცირებულ აქტივობებს.

უნივერსიტეტი ხშირად მასპინძლობს კარიერული განვითარების ღონისძიებებს, სადაც ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების წარმომადგენლები პრაქტიკულ მასტერკლასებს სთავაზობენ და უზიარებენ პროფესიულ შეხედულებებს. აღნიშნული სტუდენტებს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს, პირდაპირ დაუკავშირდნენ პოტენციურ დამსაქმებლებს. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ონლაინ პლატფორმა მოიცავს CV გენერატორს (CV generator), რომელიც სტუდენტებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პროფესიული რეზიუმეების შექმნაში ეხმარება.

აკადემიური ღონისძიებების გარდა, უნივერსიტეტი ასევე მხარს უჭერს კლასგარეშე აქტივობებს, როგორცაა სპორტული და კულტურული პროექტები, ექსკურსიები და, აგრეთვე, ყოველწლიური სტუდენტური ფესტივალები, სადაც სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული. GIU ინტერნაციონალიზაციისა და გაცვლითი პროგრამების პოპულარიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვან შედეგებს აჩვენებს. სტუდენტური დახმარების სამსახურები მჭიდროდ თანამშრომლობენ საერთაშორისო ურთიერთობების ოფისთან, რათა უზრუნველყონ, რომ ყველა საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ სრულად იყოს ინფორმირებული. ინფორმაცია საზღვარგარეთ სწავლის შესახებ აქტიურად ვრცელდება, რაც გნაპირობებს სტუდენტების წარმატებულ მონაწილეობას Erasmus+ პროექტებში სლოვაკეთში, ჩინეთში, ჰონგ-კონგში.

„Buddy System“ აკავშირებს ახალჩარიცხულ სტუდენტებს სტუდენტ-მენტორებთან. ეს პროგრამა ეფექტურია, რადგან ის უზრუნველყოფს დაუყოვნებლივ და არაფორმალურ მხარდაჭერას ყოველდღიურ ცხოვრებაში, რაც ახალმოსულებს ეხმარება შეუფერხებლად ადაპტირდნენ როგორც ქვეყნის, ისე უნივერსიტეტის კულტურულ გარემოსთან. გარდა ამისა, სტუდენტურ თვითმმართველობაში შედის ომბუდსმენის განყოფილება, რომელიც, როგორც არსებითი უსაფრთხოების სისტემა, სტუდენტებს დამოუკიდებელ შიდა სივრცეს სთავაზობს, რათა მათ მოახდინონ უფლებებთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის ან უსამართლო მოპყრობის შესახებ შეტყობინება.

უნივერსიტეტი სტუდენტების მოსაზრებებს ყურადღებით აკვირდება და ყოველი აკადემიური სემესტრის ბოლოს სტუდენტების რეკომენდაციებისა და პრობლემების გათვალისწინებით მათ უკუკავშირის კითხვარებს უგზავნის,

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში (SER);
- გასაუბრების შედეგები;

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია შეიქმნას ფსიქოლოგიური კონსულტაციის სპეციალური სამსახური. აღნიშნული ინიციატივა უზრუნველყოფდა მენტალური ჯანმრთელობის მხარდაჭერას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მრავალფეროვანი სტუდენტური კონტინგენტის, განსაკუთრებით საერთაშორისო სტუდენტების კეთილდღეობას.
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე მორგებული კარიერული სიმპოზიუმები და სპეციალიზებული მასტერკლასები, იმისათვის, რომ ყველა მიმართულების პროგრამას ჰქონდეს პროფესიულ ქსელებში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.1 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია

3.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ არის

მტკიცებულებები/ინდიკატორები

-

[რეკომენდაციები](#)

-

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.2 _____ მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას სულ 51 თანამშრომელი ახორციელებს: 30 აკადემიური პერსონალი (5 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი, 12 ასისტენტ-პროფესორი და 2 ასისტენტი) და 21 მოწვეული სპეციალისტი. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აკადემიური პერსონალიდან 11 აფილირებულია. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს „პერსონალის შერჩევის წესს“ (დამტკიცებულია 2026 წლის 30 იანვარს), სადაც დეტალურად არის გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები: პროფესორი - მინიმუმ 6 წლიანი პედაგოგიური და 9 წლიანი კლინიკური გამოცდილება; ასოცირებული პროფესორი - შესაბამისად მინიმუმ 3 და 5 წლიანი; ასისტენტ-პროფესორი - მინიმუმ 3 წლიანი კლინიკური გამოცდილება; მოწვეული პერსონალი - მინიმუმ 3 წლიანი კლინიკური გამოცდილება; და ინგლისურენოვანი სწავლებისთვის, ინგლისური ენის B2 დონის ცოდნა ან უცხო ენაზე მინიმუმ 3 წლიანი სწავლების/პროფესიული გამოცდილება. აკადემიური აქტივობა იზომება ქულებზე დაფუძნებული სისტემით:

ლექტორები ვალდებულნი არიან, თავიანთი საქმიანობა თვითშეფასების ფორმაში შეიტანონ, ხოლო შედეგები აკადემიური თანამდებობების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას გამოიყენება; აქტივობის არარსებობამ, პრინციპში, შეიძლება გამოიწვიოს ხელშეკრულების შეწყვეტა (ჯერჯერობით პრეცედენტი არ არსებობს). ადგილზე ვიზიტის დროს ვერ დადგინდა, განსაზღვრულია თუ არა მკაფიო მინიმალური ზღვარი (დიაპაზონი), რომლის ქვემოთაც აქტივობა არასაკმარისად ითვლება. საერთო ჯამში, საკადრო სტრუქტურა და კვალიფიკაციის მოთხოვნები არსებობს; პროგრამის განხორციელების პარალელურად, კლინიკურ/საველე კურსებზე დანიშნული პერსონალის კვალიფიკაციისა და მათი საერთო სამუშაო დატვირთვის მონიტორინგი უნდა გაგრძელდეს.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁴	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁵	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	30	8	3	11
- პროფესორი	5	3	3	.
- ასოცირებული პროფესორი	11	0	0	.
- ასისტენტ-პროფესორი	12	3	0	.
- ასისტენტი	2	2	0	.
მოწვეული პერსონალი	21	8	0	-
სამეცნიერო პერსონალი				—
